# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 13 აგვისტო 2004 №186 (2207) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# დღეს ათენში ოლიმპიადა გათენდა



ინვალეს, იჯახირეს, იშრომეს ბერძნებმა, გაფიცვები გადაიტანეს, მთელი მსოფლიოს სარკაზმი აიტანეს და ოლიმპიადა გახსნამდე მოიტანეს. ზაფხულის 28-ე თამაშების გახსნის გრანდიოზული ცერემონიალი დღეს ჩვენი დროით 21 საათზე დაიწყება და 24 საათზე დასრულდება. თავიდან იწყება ბერძნების თავისტკივილიც. მათ ჯერ არ გაუმხელიათ სტადიონზე ცეცხლის დამნთების ვინაობა, მხოლოდ კანდიდატები დაასახელეს, ისიც არაოფიციალურად და ერთ-ერთ მათგანი, წინა ოლიმპიადის ჩემპიონი, სპრინტერი კოსტას კენტერისი უკვე დიდ შარში გაეხვა. დოპინგტესტებზე არ გამოცხადდა და უფალი ჟაკ როგის რისხვაც დაიმსახურა. როგის განაჩენი კი ასეთია — „ჩვენ არავის შევიწყალებთ!“

გუშინ კი საზეიმოდ გაიხსნა ოლიმპიური სოფელი, რომელიც ამ ორ კვირას 10 ათასზე მეტ სპორტსმენს ბინად გაუხდება. ქართველთა საცხოვრებლის წინ საქართველოს ხუთჯვრიანი დროშა აღმართა ათენში საქართველოს ოლიმპიური დელეგაციის ხელმძღვანელმა ლერი ხაბელოვმა. გუშინვე ათენში გაიხსნა „ქართული სახლი“, რომელიც ელადაში 33 ქართველ სპორტსმენთან ერთად „გეორგიელების“ სავიზიტო ბარათი იქნება.

# მესამე ტაიმი ჩეხურად და ქართულად

თბილისის „დინამო“ ჩეხეთიდან წუხელ უნდა გამოფრენილიყო, მაგრამ თვითმფრინავი აეროპორტში „დააპატიმრეს“. ეს უცნაური და უსიამოვნო ამბავი ჩვენმა კორესპონდენტმა კობა ინასარიძემ ნაშუაღამევს პრაღიდან შეგვატყობინა.

აეროპორტის უფროსობას უთქვამს, იაკ 42-ის ღამით ფრენა აკრძალულია, რადგან მისი ხმა სტანდარტებს არ შეესაბამება და როგორც კი გათენდება, გაგიშვებთო. მგზავრები ნეიტრალურ ზონაში გაიყვანეს და გზა გაუმრუდეს. გზის გამრუდებაში კი დამნაშავენი „სლავიას“ ბოსები არიან. მათ ჯერ კიდევ მატჩამდე მიუციათ გარანტია ქართველებისთვის, თამაშის შემდეგ აეროპორტში პრობლემები არ შეგექმნებათ, ყველაფერი შეთანხმებულია და შინ მშვიდად წაბრძანდებითო.

ნამატჩევს აეროპორტში მისული ქართველები თვითმფრინავში ჩასხდნენ, მაგრამ აფრენას 2 საათის განმავლობაში ამაოდ ელოდნენ. ბოლოს მათთვის გამოუცხადებიათ, ჩამობრძანდით და დილამდე დაიცადეთო. „დინამოს“ მმართველმა დირექტორმა დავით პეტრიაშვილმა „სლავიას“ ბოსების მიცემული გარანტია რომ ახსენა, აეროპორტში გაიოცეს, ჩვენთვის არავის არაფერი უთქვამს, დილამდე აქ იყურყუტებთო.

მშიერ-მწყურვალ დინამოელებს თვითმფრინავიდან მგზავრის ულუფა ჩამოუტანეს და დილამდე ნეიტრალურ ზონაში ამყოფეს. დავით პეტრიაშვილმა წუხელვე გვითხრა, რომ სლავიელთა უპირობისა და ფეხზემკიდიაობის ამბავს უეფას შეატყობინებენ.




გუშინ ვარშაველმა ფეხბურთელებმა თბილისელებს 1:0 მოუგეს, თბილისელმა ქომაგებმა კი შეზარხოშებულ-გათავხედებულ ვარშაველებს შავი დღე და ბოთლები აყარეს



ირაკლი ზოიძე და „დინამო“ ჩეხებს ბოლომდე ვერ დაუდგნენ: „სლავია“ – „დინამო“ 3:1

# უეფას თასი 2004-2005

UEFA CUP მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩი UEFA CUP

კობა ინასარიძე
პრაღიდან



# ცაპლარმა მტკივან ფეხზე დაგვაბიჯა

## მატჩამდე

პრაღა თბილისზე დიდი ქალაქი კია, მაგრამ ვიდრე მატჩი დაიწყებოდა, გინდ ქომაგი, გინდ სხვა, ვერ იფიქრებდა, ქალაქის მესამედის საყვარელი გუნდი „სლავია“ თბილისის „დინამოს“ თუ მასპინძლობდა. არანაირი რეკლამა ამ შეხვედრას არ ჰქონია და გაზეთებშიც ერთი პწკარი თუ ეწერა, დღეს უეფას თასის თამაშიაო.

ვერ გეტყვით, იმ უბანში, სადაც „სლავიაზე“ მზე და მთვარე ამოსდით, გუშინ რა განწყობა იყო. ვინ იცოდა „დინამოსთან“ მატჩის თაობაზე, ვინ — არა, მაგრამ პრაღის ცენტრში მოსახლეთაგან კაციშვილი ვერ გეტყოდა, „სლავია“ — „დინამო“ როდის იყო, ან რატომ უნდა ყოფილიყო.

შესაბამისად, „სტრახოვზე“ „სლავიას“ უერთგულესი ქომაგები შეიკრიბნენ, რომელთა რაოდენობამაც 4 327-ს მიაღწია.

ისე კი, „სტრახოვი“ მეტად კოხტა სტადიონია, იდეალური მოედნით და ყველანაირი კომფორტით... მატჩის დაწყებამდე 15 წუთით ადრე გაზონი წყლის ისეთი ჭავლით მოირწყა, ქართველ მეხანძრეებს შეშურდებოდათ — ბურთი მოედანზე სწრაფად უნდა დაგორავდეს.

## მატჩი

„დინამომ“, რომელსაც ტრავმირებულები დავით კვირკველია, ლადო ახალაია, ლევან სილაგაძე და რომ-რო აკლია, თამაში ერთ-ერთი ლიდერის, სახელმძღვანელო ლადო ბურდულის გარეშე დაიწყო. ძირითადში არ იყო არც ბორის გოგოროვი. გია გეგუჩაძემ ამჯერად მოლად ველარ გარისკა და ფორვარდებს ლევან მელქაძესა და მიხეილ კაკალაძეს კახა ალადაშვილი შეუამხანაგა, რომელიც უფრო ნახევარმცველია, უფრო თავდამსხმელი. ასე რომ, „დინამომ“ მატჩი ორი თავდამსხმელით და სტუმრის კლუბისთვის საკმაოდ აგრესიულად დაიწყო.

აქაური კოლეგებიც გააკვირვა იოზეფ ცაპლარის ტაქტიკურმა განლაგებამ, „სლავიას“ მწვრთნელმა ბომბარდირი, ცენტრალური თავდამსხმელი პაველ კუკა უკან დასწია და გამთამაშებლობა დააკისრა.

...ეს უკვე დიდი ფეხბურთის ერთწუთიანი ეპიზოდია. „დინამოს“ შეტევა, კახა ალადაშვილი მარცხენა ფლანგზე — სხვას ვერაფერს იტყვი — აბითურებს კრატოხვილს, ბურთი ფეხებშუა გაუტარა, მერე მეორედ მოატყუა და ბურთი საპირისპირო ფლანგზე, საჯარიმოს გვერდით ხაზთან გადაიტანა, სადაც კაკალაძე იყო. „დინამოს“ ფორვარდი ერთი კი შეყოვნდა, ბურთი ფეხებში დაიჭირა და კრატოხვილის ბედი უკვე დოშეკმა გაიზიარა, კაკალაძემ მასაც ფეხებშუა აგება და მცველის ბაქნიდან ოდნავ უკან დაწყულ მელქაძეს დაუგორა. ლევანმა ბურთი გააჩერა, გაისწორა და ჩერნის შორეულ კუთხეში გაუტანა — 0:1. აღსანიშნია, რომ „სლავიას“ მიღებული გოლის შემდეგაც ერთი-ორი წუთი მთელი გუნდით თავდაცვა უხდება. მასპინძლები ნელ-ნელა გააქტიურდნენ, თუმც ხიფათი ჩვენების კართან უმნიშვნელოა. ისიცაა, რომ „დინამო“ მეტოქეს მისსავე ნახევარზე პრესინგს უპირისპირებს და ამით „სლავია“, ცოტა არ იყოს, დაბნეულია. კუკა კი საერთოდ, მეღროსიობის თამაშობს თუ არა, ძნელი სათქმელია. ჩეხთა ლიდერმა 26-ე წუთისთვის ბურთი ორ-სამჯერ თუ მიიღო. აქვე მელქაძის შორიდან უძლიერესი დარტყმული ჩერნიმ გაჭირვებით მოიგერია და მისი ბედი, დინამოელებმა შეტევაში ჩართვა რომ დააგვიანეს, თორემ დამატებულზე ალბათ ბურთი კარს არ ასცდებოდა... 30-ე წუთისთვის კი ჯაბა კანკავას პაველ კუკა თამაშიდან საერთოდ გაითიშვო ჰყავს. კრატოხვილის მარცხნიდან ჩაწოდების შემდეგ გოლი შესაძლო იყო, „დინამოს“ კარში გასულიყო. კიდევ კარგი, მცველებს უკან უმეთვალყურეოდ დარჩენილ პიტაკს შეუჩერებლად დარტყმა არ გამოუვიდა. წუთში კი ბიბილა აცილა ხელსაყრელი პოზიციიდან.

მელქაძე-ალადაშვილ-კაკალაძის ძალიან გონიერულმა, ტექნიკურმა კომბინაციებმა კაკალაძე ბიძლთან პირისპირ დატოვა, ბურთი თითქოს ჩვენიანის იყო, თანაც დასარტყმელად გამზადებული, მაგრამ გამოცდილმა ჩეხმა ფეხი გაშალა და კაკალაძეს ბურთი კუთხურზე გადაუგდო. ისევ მელქაძე და ამჯერადაც მის მოჭრილ დარტყმულს შორეულ კუთხეში ჩერნი დახვდა.

აღსანიშნია, „დინამოს“ ცენტრალური მცველების ჭიჭველიშვილისა და სალუქვაძის ერთმანეთის დაზღვევაზე ზუსტი თამაში, მარცხენა ფლანგზე კი შუშიაშვილმა რამდენიმე შეტევა ცენტრის ხაზთან ჩაშალა და ალადაშვილმა სასწაულად ვერ შეძლო მეორე გოლის გატანა... კაკალაძემ მარცხენა ფლანგზე თავრეტი დაასხა იმავ დოშეკს და კარის წინ, 2-3 მეტრში მარტოდ დარჩენილ ალადაშვილს უპასა, მან კი მარცხენა ფეხით დარტყმისას ვერ ივარგა და ბურთი ჩერნიმ აიღო. არადა, თავს დავდებ, რომ გაეტანა, თამაშიც სხვა იქნებოდა და ანგარიშიც.

მეორე ტაიმის დაწყებში უპირატესობა „სლავიას“ აქვს, ჩეხები „დინამოს“ საჯარიმოს არ მოშორდებიან, მაგრამ 50-ე წუთზე მასპინძლებს ჩვენების სწრაფი კონტრშეტევა გაუპარათ: საჯარიმოდან კანკავას ამოტანილი ბურთი კაკალაძემ მიიღო და ჩერნის კარისკენ დაიძრა. ის და მელქაძე ბეიგლის წინააღმდეგ. დინამოელები საჯარიმოს ხაზს მიუახლოვდნენ, კაკალაძემ მდევარი მცველი ლატკა ჩამოიშორა და... ერთი ზუსტი დარტყმაც საჭირო... ბურთი ისევ ბეიგლი გადაეღობა, მან რიკოშეტით ითამაშა, ტრავმის ზღვარზე თუმც გადარჩა, მისგან ასხლეტილი ბურთი კი აუტზე გადაგორდა.

ესეც უკვე იყო, რომ იტყვიან, ასპროცენტიანი გაცუდებული მომენტი. და მესამეც: ნემსაძის ჩინებული პასი მელქაძისკენ გარე ტერფით, ლევანმა შვეცი ჩამოიტოვა და შორეულ კუთხეში მოჭრა — ბურთი ძელმა აისხლიტა. ეს მე-60 წუთზე მოხდა.

წუთში კი პიტაკი შეიჭრა ჩვენს საჯარიმოში მარჯვნიდან, დასარტყმელად მოქნეული ფეხი კი ჰაერშივე დარჩა, ჭიჭველიშვილმა დარტყმა არ აცალა, მსაჯმაც პენალტი უყოყმანოდ დანიშნა, რომელიც ბრაზილიელმა ადაუტომ ზუსტად გამოიყენა — 1:1.

64-ე წუთი. შეგულიანებული მასპინძლები გააფთრებით უტევენ. სედლაჩეკის შეტევა კანკავამ ჩაშალა, ბურთი კუთხურზე მოიგერია. იქიდან კი იმავ სედლაჩეკს ჩაწოდა და პიტაკმა თავით გაიტანა, ბურთი ტყვიასავით შევარდა კარში — 2:1.

სამწუხაროა, „დინამო“ მართლაც ძალიან კარგად თამაშობდა და მოულოდნელად სამ წუთში ორი გოლი გაუშვა.

გია გეგუჩაძემ დაღლილი ალადაშვილი ბურდულით შეცვალა, იოზეფ ცაპლარმა კი კუკას ფიორტის ნაცვლად შესულ დავიდ ჰალივოდასთვის დაათმობინა გამთამაშებლის პოზიცია. თავად კუკა კი ადაუტოს შეუწყვეტა.




დავით ჭიჭველიშვილი (№2) მეტოქესაც გაექცა და მსაჯსაც

პრაღა. 12 აგვისტო. 21 საათი. სტრახოვი. 4 327 (ტევადობა 15 000)

## სლავია 3:1 დინამო

0:1 მელქაძე (12), 1:1 ადაუტო (61), 2:1 პიტაკი (64), 3:1 სედლაჩეკი

1 ჩერნი

მწვრთნელი იოზეფ ცაპლარი

4 ლ. დოშეკი, 24 ბეიგლი, 6 ლატკა, 2 კრატოხვილი

23 პიტაკი, 5 შვეცი, 18 სედლაჩეკი

9 კუკა

10 ადაუტო, 16 ფიორტი

18 მელქაძე

21 კაკალაძე, 6 ალადაშვილი

15 კემია

7 ნემსაძე, 23 კანკავა

3 კანდელაკი, 4 სალუქვაძე, 2 ჭიჭველიშვილი, 5 შუშიაშვილი

მწვრთნელი გია გეგუჩაძე

1 ზოიძე

შეცვლა: ფიორტი – 25. ჰალივოდა (46), ალადაშვილი – 8. ბურდული (60), ნემსაძე – 27. გრიგალაშვილი (79), ადაუტო – 13. ხლებუნი (84), სედლაჩეკი – 19. გაბრისკი (90)

გაფრთხილება: კანკავა (57), ჰალივოდა (77), სედლაჩეკი (78), შვეცი (90)

მსაჯები: ლორან დუამელი; ალან დეილი, ფილიპ ბომბარი; ტიერი ორიასი (ყველა საფრანგეთი)

უეფას ინსპექტორი: ვილი გოოვერტსი (ბელგია)

უეფას დელეგატი: იოავ სტრასი (ისრაელი)

77-ე წუთი. ისევ პიტაკმა იაქტიურა, ამჯერად მარცხენა ფლანგზე, „დინამოს“ მცველები დაიბნენ, ჰალივოდა მარტო დატოვეს კარის სიახლოვეს და „დინამომ“ მესამე გოლიც მიიღო, ჩეხმა ცარიელ კარში ზუსტად დაარტყა...

მელქაძის ჩინებული პასი, კაკალაძე ორ მცველს ერთმანეთს ჩამოიშორა და ჩერნის ცხვირწინ დარჩა, მაგრამ ბურთი მეკარეს ხელებში დაუმიზნა, მოგერიებულზე კანკავამ დაამატა — ბურთს ბეიგლი გადაეღობა.

„დინამო“ ისევ ათამაშდა. საჯარიმოს ხაზიდან კაშიას დარტყმული ბურთი ჩერნის ხელებში აუთამაშდა და გაჭირვებით შეძლო მისი შეკავება, იქვე კანკავამ ბურთი მკერდით გაისწორა და დასცხო — ბურთმა ძელს ჩაუქროლა.

„სლავია“ კარსაა მიეკვრული და საჯარიმოს ვერ შორდება. „დინამო“ გაშმაგებით უტევს, მაგრამ ჩვენები ზუსტად დარტყმას ვერ ახერხებენ, ბურთს ხან დოშეკი ისხლიტავს, ხან ლატკა.

ამასობაში კი მატჩის ბოლო წუთები იწურება, „დინამო“ ისევ უტევს, ბურდულის კუთხურს აწვდის, მაგრამ ჩერნი ბურთს იოლად უგუებს.

მეოთხე მსაჯმა ძირითად დროს სამი წუთი დაამატა. ახლა უკვე ბურთი „სლავიასაა“, ჩეხები „დინამოს“ საჯარიმოს გარშემო არიან...

„დინამოს“ სახიფათო საჯარიმო კი კაშიას არაზუსტი დარტყმით დასრულდა.

მსაჯი მატჩის დამთავრებამდე წამებს ითვლის, ცაპლარი კი შეცვლას აკეთებს და... ესეც საფინალო სასტვენი.

„დინამოზე“ კაცს აუგი არ უნდა დასცდეს, 3:1 ლოგიკური ანგარიში არ არის. მეტიც, „დინამოს“ ეს მატჩი არ უნდა წაეგო, მოსაგები ჰქონდა.

სტადიონზე აცხადებენ, რომ ორივე გუნდიდან მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად მეკარე რადეკ ჩერნი დასახელებულა.

და ერთიც, ჩეხი ქომაგები იმდენად იყვნენ გაოცებულნი თბილისელთა თამაშით, რომ პირველი ტაიმის ბოლოს და შესვენებისას „სლავიას“ გამაყრუებელი სტვენა დაატეხეს თავს.

## პრესკონფერენცია

დინამოელთა მწვრთნელმა გია გეგუჩაძემ თქვა: „სლავიას“ ვულოცავ გამარჯვებას, პირველი ტაიმი ბრწყინვალედ ვითამაშეთ, რაც დაგვაკლდა, პირველ ტაიმში და მეორის დასაწყისში ბიჭებმა ხუთიანზე შეასრულეს. მერე მოვეშვით, კონცენტრაცია დავკარგეთ, ინიციატივა დავთმეთ და ამიტომაც დავმარცხდით.

„სლავიას“ თავკაცმა იოზეფ ცაპლარმა კი გეგუჩაძეს აქეთ მოულოცა, ჩინებული გუნდი გყოლიათ და გმადლობთ, ბრწყინვალე თამაშისთვისო — „მე არ გამკვირვებია, ვიცოდი, რომ „დინამო“ მაგარი გუნდია, თუმც სიმართლე ვთქვა, ასეთ თამაშს არ ველოდი. პირველ ტაიმში საშინლად ვითამაშეთ, ამ საშინელების მიზეზი ფსიქოლოგიური მოუმზადებლობა და ჩემი რამდენიმე ფეხბურთელის ასაკია. მეორეში რომ ავთამაშდით და მოვიგეთ, ეს იყო ბრძოლით მიგებული თამაში. მეორე ტაიმში მეტოქეზე ზეწოლა განვახორციელეთ, რამაც „დინამოზე“ ფსიქოლოგიურად იმოქმედა, ისინი ხომ ასეთ წნეხს ეროვნულ ჩემპიონატში ნაჩვევნი არ არიან“.

ლოგიკურია თუ არა ანგარიში, ვკითხე ცაპლარს, მწვრთნელი ჩაფიქრდა და: „ძნელია, გიპასუხოთ, მაგრამ ფაქტია, ჩვენ სამი გავიტანეთ, მეტოქემ ერთი. საპასუხო მატჩის წინ ორბურთიანი ფორა გვაქვს და ვფიქრობ, რომ „დინამოს“ შინ ძალიან გაუჭირდება“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უეფას თასი 2004-2005

UEFA CUP მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩი UEFA CUP

# ბოთლერს ჯორჯია

## მესამე ტაიმი: თავდასხმა დასხმის მაგივრად

თბილისი. 12 აგვისტო. 18 საათი. ეროვნული. 15 000 (ტევადობა 70 900)

### თბილისი 0:1 ლეგია

0:1 ტომაშ სოკოლოვსკი II (78)

| | |
|---|---|
| თბილისი: დევაძე, ქემოკლიძე, გ. კვარაცხელია, ორბელაძე, ოდიკაძე, ი. სამხარაძე (ლოლაძე 36), გოგუა (ელიავა 61), აფციაური, გ. ნუგ. ჭელიძე, ხოჯავა, მიკუჩაძე (გ. მიქაძე 65) *სათადარიგონი:* ბ. შეყრილაძე, მესხი, გეწაძე, ფიფია; მწვრთნელი: გიორგი დევდარიანი | ლეგია: ბორუკი, შალა, მაგიერა, იუჟვიაკი, ტომაშ სოკოლოვსკი II (ვრობლევსკი 81), სურმა, დ. დუდეკი (კურაზვიონე 78), კილბოვიჩი, ტომაშ სოკოლოვსკი I (ჟ. კოვალსკი 46), საგანოვსკი, ვლოდარჩიკი *სათადარიგონი:* კრიშტალოვიჩი, პოლედიცა, დოროში, რჟეჟნიჩაკი; მწვრთნელი: დარიუშ კუბიცკი |
| გაფრთხილება: სურმა (31), აფციაური (84), მიქაძე (87) | |
| მსაჯები: იორგ კესლერი; იოზეფ ვებერსი, ჰარი ეპინგი; ფელიქს ბრიხი (ყველა გერმანია) | |
| უეფას ინსპექტორი: მარჩელო ლიკი (იტალია) | |
| უეფას დელეგატი: იუსუფ ნამოღლუ (თურქეთი) | |

**ვაჟა ხუციშვილი**

დასანანია, რომ ის ტკბილი საფეხბურთო ნაჭერი, რომელიც „თბილისმა“ მეორე ტაიმის ერთ ხუთწუთიან მონაკვეთში გამოაცხო, ყელში გაგვეჩხირა. ამ ნაჭრის გემოუგემურობის გამო ვერ გავიგეთ, არადა, უკვე დაღეჭილი ბურთი „ლეგიას“ კარში ერთხელ მაინც რომ შესულიყო, ლოქოებივით დასიებული პოლონელი გულშემატკივრები ეგებ ლიფსიტებივით გაპარულიყვნენ სტადიონიდან.

მთელი მატჩის განმავლობაში ყოჩაღად მოთამაშე აკაკი დევაძის კარში გოლი საჯარიმოს გარედან დარტყმით გავიდა. მანამდე დევაძე გამოსვლებზეც უბადლო იყო და ერთხელ პირისპირ გასულ მეტოქესაც აჯობა, სოკოლოვსკი უმცროსის შორიდან გასროლილს კი ველარ მისწვდა.

ქართველი ფეხბურელების ტექნიკურობაზე საუბრით ყურები გამოჭედილი გვაქვს. გუშინ ბურთის კარგად მომთვინიერებელი თბილისელები ვნახეთ. მათ გულშემატკივრები ნაირნაირი ფინტებით მოხიბლეს, მაგრამ ხეირი?! იმ საამო ხუთწუთიანი მონაკვეთის შემდეგ, რომლის განმავლობაშიც „ლეგიას“ კარში გოლები პანტაპუნტით უნდა შესულიყო, ბურთი უეცრად თბილისელთა კარის ბადეში აღმოჩნდა. არავითარი ფინტი სოკოლოვსკის საამისოდ არ დასჭირვებია. მარჯვენა ძლიერად მოიქნია და 0:1. ფინტები, იცოცხლე, კარგია, როცა თავი ქუდში გაქვს, მაგრამ როცა კარიდან ხუთ-ექვს მეტრში ხარ და დარტყმა სჯობს, პელეობა უკვე ზედმეტია. „თბილისს“ ვერ დავუკარგავთ იმ ჟინს და მონდომებას, რომელიც მათ თამაშს ახლდა, მაგრამ ღონიერ პოლონელებთან ჯაჯგურში არაქათგამოცლილები საბოლოო ზუსტ პასს და დარტყმას ველარ ახერხებდნენ.

„ლეგიას“ მოთამაშეებზე არანაკლებ ჯანიანები იყვნენ მათი ქომაგები, რომლებიც აღმოსავლეთ ტრიბუნის პირველ იარუსზე დაბინავდნენ და გვარიანად შეზარხოშებულები მღეროდნენ. პოლონელ გულშემატკივართა ჯგუფმა ტრიბუნაზე ნაწილობრივ სტრიპტიზი მოაწყო. ტანსზემოთ მოშიშვლებულნი, შორტებში გამოწყობილნი, ზედა იარუსზე მსხდომ ქართველებს ხელებით „ესაუბრებოდნენ“. რომელ ქართველს დაარწმუნებ, რომ ისინი არ ილანძღებოდნენ, ჰოდა, ხელების პრანჭვა-გრეხვა, შუა თითისა და მოხრილი მკლავის ჩვენება მასპინძლებმაც არ დაიზარეს. რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს გინების თანხლებით ხდებოდა.

შესვენებამდე ყველაფერი შედარებით მშვიდად იყო, შესვენებისას კი პოლონელები სარბენი ბილიკისა და ტრიბუნების გამყოფ ბეტონის ჯებირზე შესხდნენ და რიგრიგობით სურათებს ილებდნენ. ჩვენი სამართალდამცავები აქეთ-იქიდან ექაჩებოდნენ სკამზე დასაჯდომად, მაგრამ ყურიც არ შეიბერტყეს. ერთ-ერთმა ქართველ სამხედროფორმიანს ხელი გადახვია, მერე კი სათვალე მისცა. ფორმიანმა ნაჩუქარი სათვალით მეგობრებთან მოიწონა თავი და ჭკუამხიარულ სტუმრებს თავი დაანება.

პირველივე ტაიმში ბუნებრივი წვიმა რომ წამოვიდა, არავის გაჰკვირვებია, მაგრამ მეორე ტაიმში ამას მოჰყვა ჩვენს სტადიონებზე ასევე ლამის ბუნებრივ მოვლენად ქცეული ბოთლების სროლა და ერთ-ერთ ბეჭგანიერ პოლონელ ქომაგს „კოკა კოლას“ სავსე ბოთლი ბეჭებსშუა დაახეთქეს.

სტუმართა მხრიდან ამას მოჰყვა კვლავ ხელების პრანჭვა, რამაც ზედაიარუსელები უფრო გაალიზიანა და პლასტმასის ბოთლების მარაგიდან „ცეცხლი გახსნეს“. საინტერესოა, რომ ბოთლების უმეტესობა სითხით სავსე იყო და შხუილით მიჰქროდა ქვემოთკენ. ფეხბურთისთვის ვილას ეცალა, პოლიცია ამოვარდა მეორე იარუსზე და გამაგრილებელი სასმელების ბაზა აღმოაჩინა. პურის ფულის საშოვნელად გამოსულ საწყალ ქალბატონს ხელი სტაცეს, რომელსაც ყუთით „კოკა“ და მისი ნათესავი სასმელები დაჰქონდა. „იარაღის არსენალის“ მფლობელი ქალბატონი ქვევით ჩააბრძანეს, მაგრამ ქართველებს ბოთლების მარაგი არ გამოლევიათ. მეორედ და უფრო მძლავრად გახსნეს ცეცხლი. პოლიციამ სკამებს შუა სიარული და იარაღის „ამოღება“ დაიწყო, თუმც ამაოდ.

ამასობაში ქვედა სართულზე მყოფი პოლონელებიდან ნატკენ ცხვირზე, ზოგიც ნატკენ თავზე იკიდებდა ხელს, მაგრამ ტაშ-ფანდურა არ შეუჩერებიათ.

ბოთლების წვიმამ იმატა და სპეცდანიშნულების რაზმიც გამოჩნდა, რომლებმაც სტუმრების ფარებით დაცვა იკისრეს. გოლი რომ გავიდა, ჩაფსკვნილმა პოლონელმა გულშემატკივრებმა კიდევ უფრო გაილაღეს და ისედაც ნერვებდაწყვეტილ ქართველ ქომაგებზე ამან ცეცხლზე ნავთის დასხმასავით იმოქმედა.

მატჩის დასრულების შემდეგ ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა. პოლონელები ჯერ სარბენ ბილიკებზე გადასხდნენ, მერე კი მოედანზეც შეაღწიეს ფეხბურთელებისთვის გამარჯვების მისალოცად.



აკაკი დევაძემ ზოგი აიღო, ზოგი მოიგერია და ერთი გაუშვა

რამდენიმე ქომაგი სარეკლამო აბრაზე გადაბობღდა და პოლიციელებმა უკანვე გადმოადგეს. ერთ-ერთი სტუმარი ზურგზე დაენარცხა. გააფრთხებული ქართველებიც იარუსებიდან მოედნისკენ იწევდნენ და სამართალდამცავებს გვარიანი ჯაფა დაადგათ მათ მოსაგერიებლად. ისეთი აჯაფსანდალი გამოვიდა, რომ სხვა ვერაფერი მოიფიქრეს და, დაშინებული პოლონელი ქომაგები მოედანზე შეყარეს. ზოგი გარბოდა და წაიქცა. ერთმანეთს ფეხებში ებლანდებოდნენ, აღარ იცოდნენ, საით წასულიყვნენ. დასალეთ ტრიბუნასთან რომ მივიდნენ, იქ მეორე ფრონტი გაიხსნა. დასავლელებს ბოთლების დიდი მარაგი აღმოაჩნდათ და იქიდან ისეთი ინტენსიური „ცეცხლი გახსნეს“, რომ ძნელი მოსაგერიებელი აღმოჩნდა ჯარისთვის, სპეცრაზმისთვის და პოლიციისთვის ერთად.

მწვანეზე მყოფი სტუმართა ქომაგები სათითაოდ შეიყვანეს გასახდელისკენ მიმავალ გვირაბში, ზემოდან კი ბოთლები მოფრინავდა.

პოლიციამ ტრიბუნებიდან „მსროლელები“ გააძევა, მაგრამ მათი ერთი ჯგუფი სტადიონის გარეთ აპირებდა ჩასაფრებას. ახლა იქ ატყდა რია-რია და ერთი საათი მაინც დასჭირდა ყველაფრის დაშოშმინებას. დაახლოებით 9 საათი იყო, პოლონელი ფეხბურთელები და მათი ქომაგები სტადიონს ჩრდილოეთ კარიდან, შიგნიდან ჩაბნელებული ავტობუსებით რომ გაიყვანეს.

ვისი ბრალია ის, რაც მოხდა? იქნებ იმ ქალბატონის, რომელიც სასმელებს ჰყიდის ტრიბუნაზე? იქნებ მათი, ვინც ყიდულობს და მერე თავისი ხეპრეობის კიდევ ერთხელ დასამტკიცებლად და გასამხიარულებლად მეტოქე გუნდის გულშემატკივრებს ესვრის? ან იქნებ სამართალდამცავებისა, რომლებმაც პოლონელები როგორც ხელის გულზე, სამიზნედ დაუსვეს დანების, ბოთლებისა და სხვა საგნების სროლით სახელგანთქმულებს? გასაგებია, რომ ბოთლების მსროლელთა რიცხი გაცილებით ნაკლებია არამსროლელებზე, მაგრამ საბოლოოდ ხომ ყველანი ერთ ქვაბში ვიხარშებით?! ათი პოლონელის დაჩაგვრა რა ვაჟკაცობაა?! სტვენა და გინება რა გასაკვირია, მაგრამ ბოთლების სროლა?! ამას სიმღერაში და საკუთარი გუნდის სიყვარულში გაჯიბრება არ სჯობს?! ჯერჯერობით ვერც ფეხბურთის კარგად თამაში ვისწავლეთ, ვერც ქომაგობა და ალბათ კარგა ხანს ვერც ვისწავლით.

### პრესკონფერენცია

*გიორგი დევდარიანი:* დაძაბული და საინტერესო მატჩი იყო. სტადიონზე მოსულ გულშემატკივარს წაგების გამო ბოდიშს ვუხდი, მაგრამ იმედი მაქვს, მალე ამის გაკეთება აღარ მომიწევს. ჩვენი დროც მალე დადგება, „თბილისი“ პერსპექტიული გუნდია და, ვფიქრობ, ჩვენს სიტყვას კიდევ ვიტყვით.

...წაგებამ, ცხადია, გული დამწყვიტა. არადა, ცოტა იღბალიც რომ გვქონოდა... თუმცა ამაზე ლაპარაკს ახლა რა აზრი აქვს, ვერაფერს შევცვლი.

...გუნდში ბევრი გამოუცდელი ახალგაზრდა მყავს. შესვენებაზე კარგა ხანი დამჭირდა საიმისოდ, რომ ბიჭები საკუთარ თავში დამერწმუნებინა. როგორც ნახეთ, მეორე ტაიმში უფრო კარგადაც ითამაშლნენ. მერე კი დასანანი შეცდომა დავუშვით და...

...ვარშავაში ტურისტებად არ მივდივართ. „ლეგიას“ იქაც ბოლომდე შევებრძოლებით და ვნახოთ, რა გამოგვივა.

...სამხარაძის იმედი მქონდა, ერთი ტაიმი უნდა „გაექაჩა“ და მერე შეცვლა მქონდა დაგეგმილი, მაგრამ... ეტყობა, ირაკლი ჯერაც არაა მზად ასეთი დონის მატჩებში სათამაშოდ. ვაღიარებ, მისი ძირითადში დაყენება ჩემი შეცდომა იყო.

*დარიუშ კუბიცკი:* თამაშამდეც ვამბობდი, რომ „თბილისი“ კარგი გუნდია და დიდი ბრძოლა გველის-მეთქი. ცოტა კი გაგვიჭირდა, მაგრამ მაინც მოვიგეთ.

...ეს ჩემი პირველი თამაში იყო ევროტურნირებზე და ბედნიერი ვარ, რომ მოვიგეთ. ვფიქრობ, შედეგი ლოგიკურია.

...თამაშის დასრულებისთანავე გასახდელში შევედი და ამიტომ არ მინახავს, რა ჰქნეს ტრიბუნებზე ჩვენმა ქომაგებმა, ანუ მათ საქციელს კომენტარს ვერ გავუკეთებ.



ვარშაველებს თბილისი შავად გაახსენდებათ

# ველოსიპედი მინდა მე...



რიგის „სკონტოს" ქართველი ნახევარმცველი ლევან კორღალიძე ოპერაციის შემდეგ თავს კარგად გრძნობს და ეს დღეებია, ვარჯიშიც განაახლა. შეგახსენებთ, რომ ჩვენებურმა სამი თვის წინ გაიკეთა ფეხზე ოპერაცია და მას შემდეგ უქმობს.

— ტკივილები აღარ მაქვს, მაგრამ ძუნძული ჯერაც არ შემიძლია. ახლა ტრენაჟორებზე ვვარჯიშობ და ველოსიპედსაც ვაჩვევ ფეხს. მგონი, მალე სირბილიც შემეძლება — გვითხრა გუშინ ლევან კორღალიძემ, როცა რიგაში დავუკავშირდით.

„სკონტომ" ჩვენებური რამდენიმე დღით თურქეთშიც გაუშვა სარეაბილიტაციო პერიოდის გასავლელად, იქიდან დაბრუნებულს კი ექიმებმა ხასიათი გამოუკეთეს — ყველაფერი გაურთულებლად მიდის და სექტემბრისთვის სრული დატვირთვით ვარჯიში უნდა დაიწყოს. ლევანსაც ამის იმედი აქვს და თეთრხალათიანთა გარეშე ნაბიჯს არ დგამს.

— თამაში ძალიან მომენატრა, მაგრამ სადაც ამდენი ვითმინე, ცოტასაც გავუძლებ. მთავარია, არ ავჩქარდე და მერე ყველაფერი თავისი გზით წავა — გვითხრა კორღალიძემ.

**ბაჩა შალამბერიძე**

## 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის I შესარჩევი ჯგუფი
# ჩვენი მეტოქეები

### უკრაინა

**18 აგვისტოს** უკრაინის ნაკრები ნიუკასლში ინგლისს გაეჯიბრება ამხანაგურად. უკრაინელთა თავკაცმა ოლეგ ბლოხინმა საამხანაგოდ ოცი ფეხბურთელი შეარჩია, რომელთაგან უმეტესობა დნიპროელია — 7. ექვსი ფეხბურთელი მიავლინა ნაკრებში კიევის „დინამომ".

ჩვენი მომავალი მეტოქე ინგლისელებს „სენტ ჯეიმს პარკზე", შეხვდება. ბლოხინის გუნდში ოდენ ოთხი ლეგიონერია — ანდრეი შევჩენკო, სერგეი რებროვი, სერგეი კორმილცევი და ანდრეი ვორონინი.

ეს ამხანაგური მატჩი უკრაინელთათვის ბოლოა 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის დაწყებამდე. შეგახსენებთ, რომ ოლეგ ბლოხინის ხელში ნაკრებს ჯერ ერთხელაც არ მოუგია.

*მეკარეები:* *ალექსანდრ შოვკოვსკი, ვიტალი რევა (ორივე დინამო);*

*მცველები:* *ანდრეი ნესმაჩნი, სერგეი ფიოდოროვი (ორივე დინამო), ვლადიმირ იეზერსკი, ალექსანდრ რადჩენკო, ანდრეი რუსოლი, სერგეი მატიუხინი (ყველა დნიპრო);*

*ნახევარმცველები:* *ოლეგ გუსევი, ანდრეი გუსინი (ორივე დინამო), სერგეი ნაზარენკო, რუსლან როტანი, ოლეგ შელაევი (სამივე დნიპრო), სერგეი ზაკარლიუკი (ილიჩევეცი), ანატოლი ტიმოშჩუკი (შახტარი), სერგეი კორმილცევი (ტორპედო, რუსეთი);*

*თავდამსხმელები:* *ანდრეი შევჩენკო (მილანი, იტალია), სერგეი რებროვი (ვესტ ჰემი, ინგლისი), ანდრეი ვორონინი (ლევერკუზენი, გერმანია), ანდრეი ვორობეი (შახტარი)*

### დანია

**სანაკრებო ფანჯარას** დანიის ნაკრებიც არ აცდენს და 18 აგვისტოს პოზნანში პოლონეთს ეთამაშება. ევროპის ჩემპიონატმოვლილი დანიელები პოლონეთში უძლიერესი შემადგენლობით მიდიან. მორტენ ოლსენის რჩეულთა შორის ერთადერთი ნიკოლაი სტოკჰოლმია, დანიის ჩემპიონატში რომ თამაშობს, დანარჩენები კი ლეგიონერები არიან.

*მეკარეები:* *თომას სორენსენი (ასტონ ვილა, ინგლისი), სტეფან ანდერსენი (ჩარლტონი, ინგლისი);*

*მცველები:* *კასპერ ბოგელუნდი (პსვ ეინდჰოვენი, ჰოლანდია), თომას ჰელვეგი (ნორვიჩი, ინგლისი), ნიკლას იენსენი (დორტმუნდი, გერმანია), პერ კროლდრუპი (უდინეზე, იტალია), მარტინ ლაურსენი (ასტონ ვილა, ინგლისი), ბრაიან პრისკე (გენკი, ბელგია);*

*ნახევარმცველები:* *თომას გრავესენი (ევერტონი, ინგლისი), კლაუს იენსენი (ფულემი, ინგლისი), კრისტიან პოულსენი (შალკე, გერმანია), ნიკოლაი სტოკჰოლმი (ოდენსე), იესპერ გრონკიაერი (ბირმინგემი, ინგლისი), მარტინ იორგენსენი (უდინეზე, იტალია), დენის რომედალი (ჩარლტონი, ინგლისი);*

*თავდამსხმელები:* *იონ დალ ტომასონი (მილანი, იტალია), პეტერ მადსენი (ბოხუმი, გერმანია), კენეტ პერესი (ალკმარი, ჰოლანდია)*

# ბორჯომიდან სხვა ნიავმა დაუბერა

რეგიონალლიგიდან წლეულს აღზევებული ბორჯომის „ბორჯომი" პირველ ლიგას ამბიციით მიადგა. საქმეში ფულიც ჩაიდო, შემადგენლობაც საგრძნობლად გაძლიერდა და გეგმა-მიზნებიც ისეთი დაისახა, გუნდის ქომაგები არცთუ დიდი ხნის წინ ვერცკი იოცნებებდნენ. ჩემპიონატის დაწყებამდე დღეებიღა რჩება. ბორჯომელები შეკრებას შინ გადიან. მთავარი მწვრთნელი **სოსო ფრუიძე** შეგირდებს დღეში ორჯერ ავარჯიშებს, გარშემო კი დიდი სამუშაოებია გაჩაღებული. ბორჯომელთა მწვრთნელს საღამოს ვარჯიშის დასრულებისთანავე გავესაუბრეთ





ახალი „ბორჯომის" ახალი თავკაცი სოსო ფრუიძე

— რევოლუციის შემდეგ ქალაქის ხელმძღვანელებად ისეთი ხალხი მოვიდა, ფეხბურთი რომ აინტერესებთ და ყურადღებასაც აქცევენ. გამგეობა გვერდით დაგვიდგა, მინისა და მინერალური წყლების კომპანიაც დაგვეხმარა ფინანსურად და პირველი ლიგის საგზურიც მოვიპოვეთ. ამან კი ინტერესი და მხარში დგომის სურვილი კიდევ უფრო გააძლიერა.

— **ახალი სეზონის გეგმებზეც ხომ არ გისაუბრიათ?**

— თუ შემადგენლობით ვიმსჯელებთ, აშკარად შეიძლება უმაღლეს ლიგაზე ფიქრი. ჩვენი მიზანიც ესაა და ყველანაირად ვეცდებით, გულშემატკივრები გავახაროთ.

— **რეგიონალლიგაში მოთამაშე გუნდის შემადგენლობა მთლიანად გადააახალისეთ?**

— ექვსი-შვიდი კაცის გარდა „ბორჯომი" ყველამ დატოვა. წასულების ნაცვლად კარგი შევსება მივიღეთ. „სიონიდან" გაბისკირია, ბურნაძე და კვეკვესკირი, „დილადან" მუშკუდიანი და სოლოლაშვილი, „ქობულეთიდან" კრავეიშვილი და ხუჭუა, „სამგურალიდან" ბობოხიძე.

— **უმაღლესი ლიგის ფეხბურთელები მაღალი ანაზღაურებით დააინტერესეთ?**

— ფინანსებს მთავარი როლი ნამდვილად არ უთამაშია. უბრალოდ, ამ ბიჭებმაც დაინახეს პერსპექტივა და ალბათ ამიტომ დაგვთანხმდნენ.

— **ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად ბორჯომსგარეთაც ხომ არ გასულხართ?**

— 17 ივლისიდან ორი კვირა ბათუმში ვივარჯიშეთ. ამ შეკრებისას ამხანაგური შეხვედრების ჩატარებაც მოვასწარით. ბათუმის მეორე გუნდს ორჯერ ვეთამაშეთ და ორჯერვე მოვუგეთ, ვძლიეთ ფოთის „კოლხეთსაც" — 1:0. ეს თამაში გრიგოლეთში ჩატარდა. უმაღლესლიგელ ბათუმთან კი 0:1 დავმარცხდით. ჩემპიონატის დაწყებამდე ერთ საკონტროლოსაც მოვასწრებთ.

— **ვხედავ, მშენებლობა სტადიონზეც იწყება. რა სამუშაოებია დაგეგმილი?**

— უკვე გადაწყვეტილია, რომ „ბორჯომს" ლამაზი არენა ექნება. ახალი სტადიონის მაკეტი დამტკიცებულია. იგი ოთხი ტრიბუნით იქნება შემოსაზღვრული და 3 600 კაცს დაიტევს. მალევე დაიწყება ბაზის მშენებლობაც ფაფის დასახლებაში.

— **სამშენებლო სამუშაოების გამო საშინაო შეხვედრებს სხვა ქალაქში ხომ არ გამართავთ?**

— ალბათ საწყის ოთხ-ხუთ ტურში სტუმრებს ხაშურში დავუხვდებით, მანამდე, სანამ მინდვრის საფარის პრობლემა არ მოგვარდება. საამისოდ თბილისიდან ჩამოვიყვანეთ სპეციალისტი. დრენაჟი უკვე გაკეთებულია. ახალი საფარის ჩათესვა კი დღე-დღეზე დაიწყება.

— **ოთხტრიბუნიანი სტადიონის პრეზენტაციას როდისთვის გეგმავთ?**

— მომავალ ზაფხულს, უმაღლესი ლიგისთვის.

**ოთარ მაღლაკელიძე**





ბორჯომის სტადიონი ახლა და მაკეტზე

# ლევერკუზენის ფრანცისული

## ჭირისუფალმა ადრიანომ ბაზელიც აატირა




ადრიანომ გლოვა არ დაიტყო და „ინტერს“ გოლით შეეწია

### ჩემპიონთა ლიგა 2004-2005
### III საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩები

**შახტარი** (უკრაინა) 4:1 **ბრიუგე** (ბელგია)
1:0 აგაოვა (15), 1:1 ბალაბანი (50), 2:1 მარიცა (70), 3:1 ვორობეი (78), 4:1 ბრანდაუ (90)

**ფერენცვაროში** (უნგრეთი) 1:0 **სპარტა** (ჩეხეთი)
1:0 რობერტ ვაგნერი (26)

**ცრვენა ზვეზდა** (სერბეთი) 3:2 **პსვ ეინდჰოვენი** (ჰოლანდია)
0:1 პარკი (9), 1:1 დუდიჩი (29), 2:1 ბ. იანკოვიჩი (39), 3:1 პანტელიჩი (59), 3:2 ჯ. დე იონგი (66)

**ლევერკუზენი** (გერმანია) 5:0 **ბანიკი** (ჩეხეთი)
1:0, 2:0 ფრანცა (10, 67), 3:0 ჟუანი (74), 4:0, 5:0 ბერბატოვი (82, 89)

**ვისლა** (პოლონეთი) 0:2 **რეალი** (ესპანეთი)
0:1, 0:2 მორიენტესი (72, 90)

**ნოვა გორიცა** (სლოვენია) 0:3 **მონაკო** (საფრანგეთი)
0:1 კალონი (9), 0:2 ჩევანტონი (76), 0:3 კალონი (89)

**შელბურნი** (ირლანდია) 0:0 **დეპორტივო** (ესპანეთი)

**დინამო** (რუმინეთი) 1:2 **მანჩესტერ იუნაიტედი** (ინგლისი)
1:0 კ. ფორჩუნი (10ს.კ.), 1:1 გიგზი (38), 1:2 ალისტარი (71ს.კ.)

**ბაზელი** (შვეიცარია) 1:1 **ინტერი** (იტალია)
0:1 ადრიანო (19), 1:1 ჰუგელი (25)

**რუსენბორგი** (ნორვეგია) 2:1 **მაკაბი** (ჰაიფა, ისრაელი)
1:0 ბრატბაკი (1), 2:0 სოლი (9), 2:1 როსო (45)

„ლევერკუზენმა“ ჩეხურ „ბანიკს“ 5:0 გადაუარა და აგრძნობინა, რომ ჩემპიონთა ლიგა მისთვის შორეული პერსპექტივაა. მიროსლავ კენიგმა რობსონ პონტეს დარტყმული ცხვირწინ მოიგერია, ფრანცამ კი დასწრებაზე იყოჩაღა და ანგარიში გახსნა. პირველი გოლიდან თითქმის ერთი საათის შემდეგ ფრანცამ პონტეს პასით საჯარიმოს ხაზიდან მეორედ იხეირა.

სტუმრებმა მარეკ ჰაინცის ორი დარტყმით უპასუხეს. ერთხელ ბურთი მცველმა კარის ხაზიდან გამოიტანა, მეორედ კი ძელი შექანდა. ამის მერე „ფარმაცევტებმა“ ალვირი აიხსნეს. ჟუანმა ზუსტი თავურით კენიგი მესამედ დაამწუხრა, დიმიტარ ბერბატოვმა მეოთხე მიაყოლა, ფრანცამ კი თავისი დაწყებული თავადვე მეხუთე გოლით დაასრულა და ჰეთ თრიქი მიითვალა. „ლევერკუზენი“ ცალი ფეხით უკვე ჩემპიონთა ლიგაშია.

ტრონჰეიმში „რუსენბორგმა“ ებრაელებს გამარჯვების თქმა არ აცალა, ისე სწრაფად გაუტანა. ჰარალდ ბრატბაკმა და იან გუნარ სოლიმ ჰაიფას „მაკაბი“ სწრაფი გოლებით შეაშინეს, მაგრამ ნორვეგიელები ამით დაკმაყოფილდნენ. „მაკაბის“ ფორვარდმა ჯოვანი როსომ პირველი ტაიმის მიწურულს მასპინძლებს ცხრიანში შეუჭედა ბურთი და ერთი გაქვითა. შეგახსენებთ, რომ ჰაიფას „მაკაბის“ 2002-2003 წლების სეზონის ჩემპიონთა ლიგაში უთამაშია. საპასუხო მატჩი უსაფრთხოების მიზნით ჰაიფას ნაცვლად თელ ავივში გაიმართება.

ბელგრადში გუს ჰიდინკის პსვ მოედანზე თავიდანვე გაბატონდა. ჰოლანდიელთა კორეელმა ლეგიონერმა ათ წუთში ორი საგოლე მომენტიდან ერთი გამოიყენა — ჟი სუნგ პარკმა კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთზე იხეირა და ანგარიში გახსნა. სტუმრები ამის მერე მოეშვნენ და დამხვდურებმა ორჯერ დასაჯეს — მილან დუდიჩმა თავურით გაათანაბრა, ბოშკო იანკოვიჩმა კი დაახლოებით 25 მეტრიდან დააძგერა და ბურთი კარში შესვა.

მეორე ნახევარში სერბებმა კოხტა კომბინაცია გაჩარხეს და მარკო პანტელიჩმა ათიოდ მეტრიდან თავით საამო გოლი გაიტანა. ჰოლანდიელებმა მაინც მოახერხეს ანგარიში სხვაობის შემცირება. ჯონ დე იონგმა დისლენკოვიჩის მოგერიებულ ბურთს საგოლედ დაამატა და პსვ-ს საეინდჰოვენოდ საქმე შედარებით გაუიოლა.

ბაზელში თვალსასეირო თამაში გამოვიდა. სტუმარ-მასპინძელი შესატევად იყო მომართული და ერთმანეთს ძელებიც უმტვრიეს, მაგრამ ორზე მეტი გოლი არ გასულა. კრისტიან ვიერისა და ობაფემი მარტინსის ტრავმების გამო „ინტერის“ შეტევები ალვარო რეკობამ და ადრიანომ იკისრეს. ადრიანოს მამა გარდაეცვალა და სამშობლოდან გუშინწინ დაბრუნებულს, ცხადია, არც ეფეხბურთებოდა, რობერტო მანჩინის უთქვამს კიდეც, თავად გადაწყვიტე, შეძლებ თუ არა თამაშსო. ადრიანომ ითამაშა და „ინტერი“ მისი გოლითაც დაწინაურდა. შვეიცარიელებმა ხუთ წუთში გაათანაბრეს. ხულიო როსიმ ბენჟამინ ჰუგელს პასი მაკრატელათი მიართვა და მასაც ახლოდან გატანა არ გასჭირვებია. ზე მარიამ და ჰუგელმა ერთურთის კარის ძელები თითოჯერ მოსინჯეს. მერე კი ზე მარიას დარტყმული ბურთი მურატ იაკინმა ხაზიდან გამოიტანა.

დონეცკის „შახტარმა“ სამბურთიანი მარაგი დაიბევა და ჩემპიონთა ლიგის კარი ნახევრად უკვე შეაღო.

მეშახტეები თავებით გათამაშებულ კომბინაციის და ჯულიუს აგაოვას დარტყმის წყალობით დაწინაურდნენ. „ბრიუგემ“ მეორე ტაიმში მცველების შეცდომით ისარგებლა და გაათანაბრა. პოლ ვერჰეინმა პასი ჩაჭრა, ბოშკო ბალაბანს ბურთი მიართვა და მასაც გატანა არ გასჭირვებია.

მასპინძლები ჩიპრიან მარიცას გოლმა მოაფერიანა. მარიცამ მცველს საჯარიმოში ასწაპნა ბურთი და კარში დააბინავა. იშტაზე მოსულმა „შახტარმა“ ბელგიელები კიდევ ორჯერ დაასაჩუქრა. ანდრეი ვორობეიმ ორი მცველი გააბითურა და ტომისლავ ბუტინას კარის კუთხეში საგოლედ დაუმიზნა, ბოლოს კი ვორობეის პასი ბრანდაუმ შეირგო.

ბუქარესტში ფორჩუნმა და ალისტარმა საკუთარ კარში გაიტანეს გოლები, რაიან გიგზს კი მისამართი არ შეშლია.

კვინტონ ფორჩუნი კლაუდიუ ნიკულესკუს პასის ჩაჭრას ცდილობდა და თავისი მეკარე ჰოვარდი პირღია დატოვა. რუმინელთა ცენტრალური მცველი ბოტარიუ პირველ ტაიმში ტრავმის გამო შეცვალეს. რაიან გიგზმა მისი გასვლით ისარგებლა, გაილაღა და გაათანაბრა. 71-ე წუთზე ლაიამ მილერის ჩაწოდებული ბურთი ანჯელო ალისტარსს ფეხიდან აეჭრა და მასპინძელთა კარში აღმოჩნდა. ასე მოიგო „მანჩესტერ იუნაიტედმა“ და სერ ალექს ფერგიუსონის გუნდის ლიგაში მოხვედრაც ალბათ გადაწყვეტილი ამბავია.

კაცნაკლულმა „მონაკომ“ სლოვენიაში „ნოვა გორიცას“ ახალწვეულთა გოლებით სძლია. მოჰამედ კალონმა შეხვედრას დასაწყისშივე დააწინაურა სტუმრები. 53-ე წუთზე „მონაკოს“ უხეშობისთვის პატრის ევრა გაუძევეს. ამის მერე ფლავიო რომამ მასთან პირისპირ გასულ მეტოქეს არ გაატანინა, ხავიერ ერნესტო ჩევანტონიმ კი მეორე შეაგდო. მატჩის მიწურულს ჩევანტონის პასით კვლავ კალონმა იყოჩაღა და წყვილს შორის გამარჯვებული, ფაქტობრივად, გაარკვია.

ფერნანდო მორიენტესი, გასულ სეზონში „მონაკოსთვის“ რომ ირჯებოდა, ახლა „რეალისთვის“ იღწვის. მადრიდელებს კრაკოვში გოლის გატანა იქამდე უჭირდათ, სანამ მორიენტესი შეცვლაზე შევიდოდა. „ელ მორომ“ რონალდო შეცვალა და სამ წუთში დევიდ ბექემის პასით ანგარიში გახსნა, მერე კი რობერტო კარლოსის პასიც შეირგო.

ბუდაპეშტში „ფერენცვაროში“ პრაღის „სპარტასთან“ მხოლოდ ერთ გოლს დასჯერდა. რობერტ ვაგნერმა მცველთა ჩათვლემით ისარგებლა და ათიოდ მეტრიდან ზუსტად დაარტყა.

დუბლინში „შელბურნმა“ 24 ათასი ქომაგი შეაგროვა „დეპორტივოსთან“ მატჩის სანახავად. ირლანდიის ჩემპიონმა წინა ეტაპზე სპლიტის „ჰაიდუკი“ გააძევა და გალისიელებსაც ყოჩაღად დაუდგა. დუბლინში წვიმდა, რამაც გუნდებს ბურთის კარგად გაგორების საშუალება არ მისცა და უგოლობაც უფრო უამინდობის ბრალია.

10 აგვისტოს ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩში სალონიკის პაოკმა თელ ავივის „მაკაბისთან“ 1:2 წააგო. აღმოჩნდა, რომ ბერძენთა შემადგენლობაში დისკვალიფიცირებულმა ფეხბურთელმა ლასოუ ლუკამ ითამაშა, რომელსაც სასჯელი ოთხი წლის წინ სხვა კლუბში მიუღია და იქიდან გადმოჰყვა. უეფამ პაოკს 0:3 წაგება ჩაუთვალა და ამ ანგარიშს თუ გავითვალისწინებთ, „მაკაბის“ ლიგაში შეღწევის კარგი შანსი აქვს.

**ვაჟა ხუციშვილი**




ბრაზილიელმა ფრანცამ „ლევერკუზენს“ ჯგუფური ეტაპი გაუხსნა




„მონაკოს“ ახალწვეულმა ხავიერ ჩევანტონიმ „ნოვა გორიცასაც“ გაუტანა



# ტახტი დაობლებულია
## საფრანგეთი ზიზუს გარეშე

ზინედინ ზიდანმა თქვა ის, რასაც ელოდნენ: გუშინ „ეკიპმა“ დაწერა, რომ მილიონებისთვის ასეთი საყვარელი ზიზუ ნაკრებში თამაშს აღარ აპირებს.

„იმის წარმოდგენა, რომ ზიდანი აღარასდროს მოიგებს ლურჯ სამოსს, შეუძლებელია“ — ასე იწყება „ეკიპის“ მოწინავე. ნაკრებს ის კაცი ეთხოვება, ვინც ფრანგთა მსოფლიო და ევროპის ჩემპიონობის სულისჩამდგმელი იყო.

ელოდნენ, რომ გუშინ საღამოს ზიზუ „კანალ პლუსის“ არხზე გამოვიდოდა და ოფიციალურად დაადასტურებდა ამ გამოთხოვებას. თუმცა, მედიამ ყველაფერი წინდაწინ იცოდა და საღამოს გამოსვლას დილით შეაგება თავისი აზრი.

„ზიდანი და დიდი ნაკრები ახლა შორეული ისტორიაა“ — დაწერა „პარიზიენმა“.

იმავე გაზეთმა დაბეჭდა სახალხო გამოკითხვის შედეგებიც. ერის ორ მესამედს სწადია, რომ ზიზუ მომავალ მსოფლიოს ჩემპიონატზეც გაუძღვეს გუნდს.

32 წლის ზიდანი ახლა მხოლოდ „რეალში“ ითამაშებს, ამ გუნდთან კონტრაქტი 2007 წლამდე აქვს.

გერმანიის ნაკრების ყოფილმა თავკაცმა და ამჟამად შოტლანდიის ეროვნული გუნდის დამრიგებელმა ბერტი ფოგთსმა „შპორტ ბილდდთან“ ინტერვიუში გერმანიის საფეხბურთო კავშირი მკაცრად გააკრიტიკა.

# ეს არ არის გერმანია!
## ფოგთსს მათეუსი ერჩივნა

„წლების განმავლობაში ყურადღებას არაფერს აქცევდნენ, თითქოს სალათას ძილს მისცემოდნენ. მათი „შემწეობით“ გერმანიის ნაკრების სათამაშო დონე უკიდურესად დაეცა“ — განაცხადა ჩინოვნიკებზე გაბრაზებულმა ბერტიმ.



1996 წლის ევროპის ჩემპიონთა თავკაცი გერმანელ მწვრთნელებს ვარჯიშებისადმი უგულისყურო მიდგომას საყვედურობს. „წვრთნის დროს არავითარი სიახლე არ შეიმჩნევა, შეცდომებიც უზარმაზარია. გერმანულ ფეხბურთს საერთოდ ვეღარ ვცნობ“ — დაიჩივლა ფოგთსმა.

ბერტიმ კბილი იურგენ კლინსმანსაც გაჰკრა. „გერმანია გაცილებით მეტს მოიგებდა, ეროვნული გუნდის დამრიგებლად ლოთარ მათეუსი რომ დაენიშნათ. დარწმუნებული ვარ, მას ნაკრების საქმეების წარმართვა კლინსმანზე უკეთესად შეუძლია“.

**ლადო ხომერიკი**

# მარკო ვან ბასტენმა ფსიქოლოგიც გამოიძახა



### ჰოლანდია

მეკარეები: ედვინ ვან დე́რ სარი (ფულემი, ინგლისი), მარტენ სტეკელენბურგი (აიაქსი);

მცველები: ჯონი ჰეიტინგა (აიაქსი), ნაიჯელ დე იონგი (აიაქსი), ვილფრედ ბუმა (პსვ ეინდჰოვენი), ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი (ბარსელონა, ესპანეთი), კევინ ჰოფლანდი (ვოლფსბურგი, გერმანია), იან კრომკამპი (ალკმაარი);

ნახევარმცველები: მარკ ვან ბომელი (პსვ ეინდჰოვენი), რაფაელ ვან დერ ვაარტი (აიაქსი), ედგარ დავიდსი (ინტერი, იტალია), ვესლი სნეიდერი (აიაქსი), დენი ლანძაატი (ალკმაარი);

თავდამსხმელები: პიერ ვან ჰოიდონკი (ფენერბაჰჩე, თურქეთი), როი მაკაი (ბაიერნი, გერმანია), რობინ ვან პერსი (არსენალი, ინგლისი), რომეო კასტელენი (ფეიენოორდი), კოლინზ ჯონი (ფულემი, ინგლისი), დეივ ვან დერ ბერგი (უტრეხტი)

ჰოლანდია მომავალ კვირაში შვედებს ამხანაგურად ხვდება. „ნარინჯისფერთა“ ახალმა მწვრთნელმა, მარკო ვან ბასტენმა პატრიკ კლუივერტი და ფილიპ კოკუ ნაკრებს მიღმა დატოვა და ექვს ახალ ფეხბურთელს უხმო. ჰოლანდიური მედიის აზრით, ყველაზე მოულოდნელი „ფულემის“ ფორვარდის, კოლინზ ჯონის გამოძახებაა, რომელიც „ფეიენოორდის“ დირკ კუიტს ამჯობინეს. ახალწვეულთა შორის არიან: „აიაქსის“ მეკარე მარტენ სტეკელენბურგი, „ალკმაარის“ მცველი იან კრომკაპი, „უტრეხტის“ მეგოლე დეივ ვან დერ ბერგი, „ფეიენოორდის“ თავდამსხმელი რომეო კასტელენი და ლონდონელი „მეთოფე“ რობინ ვან პერსი.

ვან ბასტენმა კლუივერტზე თქვა, „ნიუკასლში“ ახალგადასულია და არ მოვაცდენ, ხოლო კოკუს ბოლომდე გამოჯანმრთელება სჭირდებაო. „პატრიკ კლუივერტი ამ ზაფხულს ფორმაში არაა და ჯერ „ნიუკასლში“ უნდა დაამტკიცოს, რომ კვლავ გამტანია“ — თქვა მწვრთნელმა.

რუუდ ვან ნისტელროი და არიენ რობენი ტრავმირებულნი არიან და ამიტომ არ გამოიძახა, ხოლო დირკ კუიტს კოლინზ ჯონი ტაქტიკური მოსაზრების გამო ამჯობინა. „ჩვენ უკვე გვყავს ორი ცენტრფორვარდი, როი მაკაი და პიერ ვან ჰოიდონკი. დირკ კუიტიც იგივე ყაიდის თავდამსხმელია, კოლინზ ჯონი კი მარჯვენა ფლანგზეც შესანიშნავად თამაშობს“ — აღნიშნა მარკო ვან ბასტენმა, რომელიც ერთი კვირის წინ დიკ ადვოკაატს შეხვდა და ძველმა მწვრთნელმა ახალს ფეხბურთელებზე ინფორმაცია დაწვრილებით მიაწოდა.

„ნარინჯისფერთა“ სამწვრთნელო შტაბში ამიერიდან ფსიქოლოგი ერიკ რეეპიც იმუშავებს. „ჩვენი ნაკრების ფეხბურთელებს მაღალ დონეზე თამაში უწევთ და ძალიან გადატვირთული კალენდარი აქვთ. ამიტომ ვფიქრობ, რომ მათ განტვირთვისთვის ფსიქოლოგი სჭირდებათ. „მილანში“ ყოველი მატჩის შემდეგ ამ პრაქტიკას ვიყენებდით და საკმაოდ წარმატებულად“ — განაცხადა „მილანის“ ყოფილმა ფორვარდმა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# მაგათის თხოვნით
## კლინსმანის დებიუტზე დაისლერი დაისვენებს



ავსტრიასთან ამხანაგური მატჩისთვის, რომელიც 18 აგვისტოს გაიმართება, იურგენ კლინსმანმა 19 ფეხბურთელი გამოიძახა. მათ შორის არაა სებასტიან დაისლერი, რადგან „ბაიერნის“ მწვრთნელ ფელიქს მაგათს კლინსმანისთვის უთხოვია, ნუ დატვირთავთ, ახლა დასვენება სჭირდებაო.

ბუნდესნაკრებში პირველად უხმეს ბრემენის „ვერდერის“ მცველ ფრანკ ფარენჰორსტს, ხოლომ მისი თანაგუნდელი ტიმ ბოროვსკი ორწლიანი შესვენების შემდეგ კვლავ გამოჩნდება ეროვნულ გუნდში.

იურგენ კლინსმანმა სებასტიან კელი, კრისტიან ციგე, დიტმარ ჰამანი და ფრედი ბობიჩი ჯერჯერობით თამაშგარე დატოვა. ნაკრებში ყველაზე მეტი წევრი (5) ბრემენის „ვერდერს“ ჰყავს, ხოლო „ბაიერნს“ — ოთხი.

### გერმანია

მეკარეები: ოლივერ კანი (ბაიერნი), იენს ლემანი (არსენალი, ინგლისი), ტიმო ჰილდებრანდი (შტუტგარტი);

მცველები: ფრანკ ბაუმანი (ვერდერი), ფრანკ ფარენჰორსტი (ვერდერი), არნე ფრიდრიხი (ჰერტა), ანდრეას ჰინკელი (შტუტგარტი), ფილიპ ლამი (შტუტგარტი), იენს ნოვოტნი (ლევერკუზენი);

ნახევარმცველები: მიხაელ ბალაკი (ბაიერნი), ტიმ ბოროვსკი (ვერდერი), ფაბიან ერნსტი (ვერდერი), ტორსტენ ფრინგსი (ბაიერნი), ბერნდ შნაიდერი (ლევერკუზენი), ბასტიან შვაინსტაიგერი (ბაიერნი);

თავდამსხმელები: თომას ბრდარიჩი (ვოლფსბურგი), მიროსლავ კლოზე (ვერდერი), კევინ კურანი (შტუტგარტი), ლუკას პოდოლსკი (კიოლნი)





# ოუენი ჩაიშალა, ეტოო გამოვიდა

## ბარსელონას ფულს რეალი და მალიორკა გაიყოფენ

თითქოს გუშინ საღამოს მაიკლ ოუენი მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი უნდა გამხდარიყო, მაგრამ ეს საქმე ალბათ აღარ გამოვა.

გუშინ „რეალის“ მწვრთნელმა ხოსე ანტონიო კამაჩომ ეს ლამის ბოლომდე გაჩარხული ტრანსფერი ჩაშალა. აქამდე ამბობდნენ, რომ „ლივერპული“ 25 მილიონ გირვანქას ითხოვს ოუენში ან 10 მილიონს, ფერნანდო მორიენტესს და სამუელ ეტოოს: უარეს შემთხვევაში კი, ან ერთს და ან მეორეს, მეტი ფულის დამატებით.

ჰოდა, კამაჩომ განაცხადა, რომ მომკლათ, მორიენტესს არ შეველევი, ის საუცხოო ალტერნატივაა ჩვენი თავდასხმის ხაზისთვის, რაც შარშან „მონაკოში“ თამაშითაც დაადასტურაო.

კამერუნელი სამუელ ეტოო კი გუშინვე „ბარსელონაში“ გადავიდა. ეტოო ზიარად ეკუთვნოდა „მალიორკასა“ და „რეალს“. პირველი თანახმა იყო კამერუნელის კატალონიაში გაყიდვაზე, მეორე კი საქმეს ოუენის ტრანსფერის გამო აჯანჯლებდა.

მაგრამ გუშინ საამზაფხულო სატრანსფერო ბაზრის ყველაზე ხმაურიანი და გაწელილი საქმე დასრულდა —„რეალის“ პრეზიდენტი ფლორენტინო პერესი ეტოოს 24 მილიონ ევროდ შეელია, ოღონდ ამ ფულის ნახევარს „მალიორკა“ მიიღებს. სამუელ ეტოო კი უკვე ბარსელონაშია და კლუბის სამედიცინო ცენტრში ჯანის სიმრთელეც შეუმოწმეს.

# პორტილიო იტალიიაში აგრესიას სწავლობს



მადრიდის „რეალის“ მიერ იტალიურ „ფიორენტინაში“ ერთი წლით განათხოვრებული ხავიერ პორტილიო აპენინებზე თავს ჩინებულად გრძნობს და იმედი აქვს, რომ სერია A-ს დაძაბული ბრძოლებისას ბევრს ისწავლის. ესპანელმა ფორვარდმა ახალ გუნდში თავის გამოჩენა უკვე მოასწრო — ამას წინათ, ერთ-ერთ ამხანაგურ შეხვედრაში პორტი-გოლმა მეტოქის კარში სამჯერ გაიტანა.

„გოლები, რა თქმა უნდა, მხნეობას მმატებს, თუმცა ამ ეტაპზე მათ გადამწყვეტ მნიშვნელობას არ ვანიჭებ. მთავარია, ვარჯიში წარმატებით განვაგრძო და ჩემი თამაში გავაუმჯობესო“ — განუცხადა ხავიერმა სააგენტო EFE-ს კორესპონდენტს.

პორტილიომ იტალიურ სასეზონთაშორისო მზადებას „ძლიერ რთული“ უწოდა, მაგრამ ამასთანავე აღნიშნა, რომ ბარიერთა სიძნელე მისთვის ოდენ სასიკეთოა. „იტალიაში მოსამზადებელი ეტაპი ძალიან რთულია. თუმც, ვატყობ, სერია A-ს მაღალი დონე ჩემზე უკეთ იმოქმედებს. აქ თამაშის უფრო აგრესიულ სტილს ვისწავლი და მეტოქეებთან ბრძოლა იტალიაშიც და ესპანეთშიც ნაკლებად გამიჭირდება“ — იმედიანად თქვა „ფიორენტინას“ კასტილიელმა თავდამსხმელმა.

**ლადო ხომერიკი**

# ტოტენჰემმა ბაიერნს ჰარგრივსი სთხოვა



„ბაიერნის“ ნახევარმცველი ოუენ ჰარგრივსი ეგებ პრემიერლიგის ფეხბურთელიც შეიქნეს. მისმა აგენტმა რომან გრილმა განაცხადა, რომ მიუნხენური კლუბი ერთ პრემიერლიგურ გუნდს ელაპარაკება.

ამბობენ, რომ ეს კლუბი განახლებული „ტოტენჰემია“. ახალი დირექტორი, ფრენკ არნესენი კარგ მოთამაშეებს უყრის თავს.

ჰარგრივსს რამდენიმე შეთავაზება ჰქონია ევროპის ჩემპიონატის დღეებში, მაგრამ მიუნხენში მხოლოდ ინგლისური კლუბის მენეჯერი ჩასულა. აგვისტოს ბოლომდე გვარიანი დროა და ეგებ „ბაიერნი“ შეელიოს კიდეც თავის გაზრდილ, კანადაში შობილ 23 წლის ინგლისელს, რომელსაც 100-ზე მეტი მატჩი უთამაშია ბუნდესლიგაში და 22 ინგლისური კეპიც მოუხვეჭია.

მართალია, ვიქტორ ფერნანდესი „პორტუს“ თავკაცად ოფიციალურად წარდგენისას გულშემატკივრებს ყოფილ დამრიგებელ ჟოზე მაურინიუსგან განსხვავებით, დიდ ჯილდოებს არ შეპირებია, მაგრამ ესპანელმა სპეციალისტმა „დრაგაუს“ ფანობას „ჩელსიში“ გადაბარგებული მწვრთნელის სტრატეგიის ერთგულება მტკიცედ აღუთქვა

# ფერნანდესის დაპირება

## მაურინიუს შემცვლელი მაურინიუს ერთგულია



„პორტუმ“ უკანასკნელი ორი სეზონის განმავლობაში ორჯერ ქვეყნის ჩემპიონობა, უეფას თასი, ჩემპიონთა თასი, პორტუგალიის თასი და სუპერთასი მოიგო, ამიტომაც დიდი შეცდომა იქნება, მაურინიუს სადამრიგებლო კურსი რომ შევცვალო“ — აცხადებს ვიქტორ ფერნანდესი იქაურ მედიასთან საუბარში.

„სელტას“, „სარაგოსას“ „ტენერიფესა“ და „ბეტისის“ ყოფილმა მწვრთნელმა ჩემპიონთა ლიგის მომგებ გუნდთან ორწლიანი ხელშეკრულება გააფორმა. ფერნანდესს „პორტუში შეიძლება რთული პრობლემების გადაწყვეტაც მოუხდეს, რამეთუ ლუზიტანთა ფალავანკლუბი მცირე ხნის უკან რამდენიმე წამყვანმა ფეხბურთელმა (დეკო, კარვალიუ, მენდეში, ფერეირა) დატოვა. თუმცა სავარაუდო სიძნელეები ესპანელს ნაკლებად აფრთხობს: „ჩვენი მიზანი „პორტუს“ ევროპულ ელიტაში დარჩენაა და მე და ჩემი თანაშემწეებიც ამის მისაღწევად მთელი დატვირთვით ვიშრომებთ. იმედია, ხსენებულ საქმეში ფეხბურთელებიც ძალიან დაგვეხმარებიან“.

არაგონელი ფერნანდესი პორტუგალიაში თავს უცხოდ არ იგრძნობს. თანაშემწეებად თანამემამულეები — ნარსის ხულია და ხოსე ლუის არხოლი ეყოლება. „გუნდის სტრუქტურისა და ფეხბურთელების შესაბამის დონეზე გასაცნობად ჩვენ საკმაო დრო გვექნება. მოხარული ვარ, რომ სამუშაოდ სწორედ „დრაგაუზე“ მოვედი — „პორტუ“ ყველაზე კარგი კლუბია იმათგან, სადაც აქამდე მიმუშავია“ — დასძინა ვიქტორმა პრესკონფერენციის დასასრულს.

**ლადო ხომერიკი**

# იტალია. სერია A 2004–2005

## 2004 წელი

### 1-ლი ტური: 12 სექტემბერი
ატალანტა : ლეჩე
ბრეშა : იუვენტუსი
კალიარი : ბოლონია
კიევო : ინტერი
მილანი : ლივორნო
პალერმო : სიენა
პარმა : მესინა
რეჯინა : უდინეზე
რომა : ფიორენტინა
სამპდორია : ლაციო

### მე-2 ტური: 19 სექტემბერი
ბოლონია : მილანი
ფიორენტინა : კალიარი
ინტერი : პალერმო
იუვენტუსი : ატალანტა
ლაციო : რეჯინა
ლეჩე : ბრეშა
ლივორნო : კიევო
მესინა : რომა
სიენა : სამპდორია
უდინეზე : პარმა

### მე-3 ტური: 22 სექტემბერი
ატალანტა : ინტერი
ბრეშა : ლაციო
კალიარი : სიენა
კიევო : უდინეზე
მილანი : მესინა
პალერმო : ფიორენტინა
პარმა : ბოლონია
რეჯინა : ლივორნო
რომა : ლეჩე
სამპდორია : იუვენტუსი

### მე-4 ტური: 26 სექტემბერი
ბოლონია : რომა
ფიორენტინა : სამპდორია
ინტერი : პარმა
იუვენტუსი : პალერმო
ლაციო : მილანი
ლეჩე : კალიარი
ლივორნო : ატალანტა
მესინა : კიევო
სიენა : რეჯინა
უდინეზე : ბრეშა

### მე-5 ტური: 3 ოქტომბერი
ატალანტა : ლაციო
კალიარი : ბრეშა
კიევო : ლეჩე
მესინა : სიენა
მილანი : რეჯინა
პალერმო : ბოლონია
პარმა : ფიორენტინა
რომა : ინტერი
სამპდორია : ლივორნი
უდინეზე : იუვენტუსი

### მე-6 ტური: 17 ოქტომბერი
ბოლონია : ატალანტა
ბრეშა : პარმა
კალიარი : მილანი
ფიორენტინა : სიენა
ინტერი : უდინეზე
იუვენტუსი : მესინა
ლაციო : კიევო
ლეჩე : პალერმო
ლივორნო : რომა
რეჯინა : სამპდორია

### მე-7 ტური: 24 ოქტომბერი
ატალანტა : კალიარი
კიევო : რეჯინა
ლივორნო : ბოლივია
მესინა : ლეჩე
მილანი : ინტერი
პარმა : ლაციო
რომა : პალერმო
სამპდორია : ბრეშა
სიენა : იუვენტუსი
უდინეზე : ფიორენტინა

### მე-8 ტური: 27 ოქტომბერი
ბოლონია : უდინეზე
ბრეშა : სიენა
კალიარი : პარმა
კიევო : სამპდორია
იუვენტუსი : რომა
ლაციო : მესინა
ლეჩე : ინტერი
მილანი : ატალანტა
პალერმო : ლივორნო
რეჯინა : ფიორენტინა

### მე-9 ტური: 31 ოქტომბერი
ფიორენტინა : ლეჩე
ინტერი : ლაციო
იუვენტუსი : კიევო



ანდრეი შევჩენკოს, პაოლო მალდინის და კარლო ანჩელოტის სკუდეტოს დაცვა მოუწევთ

ლივორნო : ბრეშა
მესინა : რეჯინა
პარმა : ატალანტა
რომა : კალიარი
სამპდორია : მილანი
სიენა : ბოლონია
უდინეზე : პალერმო

### მე-10 ტური: 7 ნოემბერი
ატალანტა : სამპდორია
ბოლონია : მესინა
ბრეშა : კიევო
კალიარი : ლივორნო
ფიორენტინა : ინტერი
ლაციო : სიენა
ლეჩე : უდინეზე
მილანი : რომა
პალერმო : პარმა
რეჯინა : იუვენტუსი

### მე-11 ტური: 10 ნოემბერი
ბრეშა : მილანი
კიევო : ატალანტა
ინტერი : ბოლონია
იუვენტუსი : ფიორენტინა
ლივორნო : ლაციო
მესინა : პალერმო
პარმა : რეჯინა
რომა : უდინეზე
სამპდორია : კალიარი
სიენა : ლეჩე

### მე-12 ტური: 14 ნოემბერი
ატალანტა : ბრეშა
კალიარი : ინტერი
ფიორენტინა : ლივორნო
ლაციო : ბოლონია
ლეჩე : იუვენტუსი
მილანი : სიენა
პალერმო : სამპდორია
პარმა : კიევო
რეჯინა : რომა
უდინეზე : მესინა

### მე-13 ტური: 28 ნოემბერი
ატალანტა : რეჯინა
ბოლონია : ლეჩე
ბრეშა : პალერმო
კიევო : მილანი
ინტერი : იუვენტუსი
ლაციო : კალიარი
ლივორნო : უდინეზე
მესინა : ფიორენტინა
სამპდორია : პარმა
სიენა : რომა

### მე-14 ტური: 5 დეკემბერი
კალიარი : კიევო
ფიორენტინა : ბოლონია
ინტერი : მესინა
იუვენტუსი : ლაციო
ლეჩე : ლივორნო
პალერმო : ატალანტა
პარმა : მილანი
რეჯინა : ბრეშა
რომა : სამპდორია
უდინეზე : სიენა

### მე-15 ტური: 12 დეკემბერი
ატალანტა : უდინეზე
ბოლონია : იუვენტუსი
ბრეშა : რომა
კიევო : პალერმო
ლაციო : ლეჩე
ლივორნო : პარმა
მილანი : ფიორენტინა
რეჯინა : კალიარი
სამპდორია : მესინა
სიენა : ინტერი

### მე-16 ტური: 19 დეკემბერი
ბოლონია : რეჯინა
ფიორენტინა : კიევო
ინტერი : ბრეშა
იუვენტუსი : მილანი
ლეჩე : სამპდორია
მესინა : ატალანტა
პალერმო : კალიარი
რომა : პარმა
სიენა : ლივორნო
უდინეზე : ლაციო

## 2005 წელი

### მე-17 ტური: 6 იანვარი
ატალანტა : ფიორენტინა
ბრეშა : ბოლონია
კალიარი : მესინა
კიევო : სიენა
ლაციო : რომა
ლივორნო : ინტერი
მილანი : ლეჩე
პარმა : იუვენტუსი
რეჯინა : პალერმო
სამპდორია : უდინეზე

### მე-18 ტური: 9 იანვარი
ბოლონია : კიევო
ფიორენტინა : ლაციო
ინტერი : სამპდორია
იუვენტუსი : ლივორნო
ლეჩე : რეჯინა
მესინა : ბრეშა
პალერმო : მილანი
რომა : ატალანტა
სიენა : პარმა
უდინეზე : კალიარი

### მე-19 ტური: 16 იანვარი
ატალანტა : სიენა
ბრეშა : ფიორენტინა
კალიარი : იუვენტუსი
კიევო : რომა
ლაციო : პალერმო
ლივორნო : მესინა
მილანი : უდინეზე
პარმა : ლეჩე
რეჯინა : ინტერი
სამპდორია : ბოლონია

### მე-20 ტური: 23 იანვარი
ლეჩე : ატალანტა
იუვენტუსი : ბრეშა
ბოლონია : კალიარი
ინტერი : კიევო
ლივორნო : მილანი
სიენა : პალერმო
მესინა : პარმა
უდინეზე : რეჯინა
ფიორენტინა : რომა
ლაციო : სამპდორია

### 21-ე ტური: 30 იანვარი
მილანი : ბოლონია
კალიარი : ფიორენტინა
პალერმო : ინტერი
ატალანტა : იუვენტუსი
რეჯინა : ლაციო
ბრეშა : ლეჩე
კიევო : ლივორნო
რომა : მესინა
სამპდორია : სიენა
პარმა : უდინეზე

### 22-ე ტური: 2 თებერვალი
ინტერი : ატალანტა
ლაციო : ბრეშა
სიენა : კალიარი
უდინეზე : კიევო
მესინა : მილანი
ფიორენტინა : პალერმო
ბოლონია : პარმა
ლივორნო : რეჯინა
ლეჩე : რომა
იუვენტუსი : სამპდორია

### 23-ე ტური: 6 თებერვალი
რომა : ბოლონია
სამპდორია : ფიორენტინა
პარმა : ინტერი
პალერმო : იუვენტუსი
მილანი : ლაციო
კალიარი : ლეჩე
ატალანტა : ლივორნო
კიევო : მესინა
რეჯინა : სიენა
ბრეშა : უდინეზე

### 24-ე ტური: 13 თებერვალი
ლაციო : ატალანტა
ბრეშა : კალიარი
ლეჩე : კიევო
სიენა : მესინა
რეჯინა : მილანი
ბოლონია : პალერმო
ფიორენტინა : პარმა
ინტერი : რომა
ლივორნო : სამპდორია
იუვენტუსი : უდინეზე

### 25-ე ტური: 20 თებერვალი
ატალანტა : ბოლონია
პარმა : ბრეშა
მილანი : კალიარი
სიენა : ფიორენტინა
უდინეზე : ინტერი
მესინა : იუვენტუსი
კიევო : ლაციო
პალერმო : ლეჩე
რომა : ლივორნი
სამპდორია : რეჯინა

### 26-ე ტური: 27 თებერვალი
კალიარი : ატალანტა
რეჯინა : კიევო
ბოლონია : ლივორნო
ლეჩე : მესინა
ინტერი : მილანი
ლაციო : პარმა
პალერმო : რომა
ბრეშა : სამპდორია
იუვენტუსი : სიენა
ფიორენტინა : უდინეზე

### 27-ე ტური: 6 მარტი
უდინეზე : ბოლონია
სიენა : ბრეშა
პარმა : კალიარი
სამპდორია : კიევო
რომა : იუვენტუსი
მესინა : ლაციო
ინტერი : ლეჩე
ატალანტა : მილანი
ლივორნო : პალერმო
ფიორენტინა : რეჯინა

### 28-ე ტური: 13 მარტი
ლეჩე : ფიორენტინა
ლაციო : ინტერი
კიევო : იუვენტუსი
ბრეშა : ლივორნო
რეჯინა : მესინა
ატალანტა : პარმა
კალიარი : რომა
მილანი : სამპდორია
ბოლონია : სიენა
პალერმო : უდინეზე

### 29-ე ტური: 20 მარტი
სამპდორია : ატალანტა
მესინა : ბოლონია
კიევო : ბრეშა
ლივორნო : კალიარი
ინტერი : ფიორენტინა
სიენა : ლაციო
უდინეზე : ლეჩე
რომა : მილანი
პარმა : პალერმო
იუვენტუსი : რეჯინა

### 30-ე ტური: 3 აპრილი
მილანი : ბრეშა
ატალანტა : კიევო
ბოლონია : ინტერი
ფიორენტინა : იუვენტუსი
ლაციო : ლივორნო
პალერმო : მესინა
რეჯინა : პარმა
უდინეზე : რომა
კალიარი : სამპდორია
ლეჩე : სიენა

### 31-ე ტური: 10 აპრილი
ბრეშა : ატალანტა
ინტერი : კალიარი
ლივორნო : ფიორენტინა
ბოლონია : ლაციო
იუვენტუსი : ლეჩე
სიენა : მილანი
სამპდორია : პალერმო
კიევო : პარმა
რომა : რეჯინა
მესინა : უდინეზე

### 32-ე ტური: 17 აპრილი
რეჯინა : ატალანტა
ლეჩე : ბოლონია
პალერმო : ბრეშა
მილანი : კიევო
იუვენტუსი : ინტერი
კალიარი : ლაციო
უდინეზე : ლივორნო
ფიორენტინა : მესინა
პარმა : სამპდორია
რომა : სიენა

### 33-ე ტური: 24 აპრილი
კიევო : კალიარი
ბოლონია : ფიორენტინა
მესინა : ინტერი
ლაციო : იუვენტუსი
ლივორნო : ლეჩე
ატალანტა : პალერმო
მილანი : პარმა
ბრეშა : რეჯინა
სამპდორია : რომა
სიენა : უდინეზე

### 34-ე ტური: 1 მაისი
უდინეზე : ატალანტა
იუვენტუსი : ბოლონია
რომა : ბრეშა
პალერმო : კიევო
ლეჩე : ლაციო
პარმა : ლივორნო
ფიორენტინა : [illegible]
კალიარი : რეჯინა
მილანი : [illegible]
[illegible] : სიენა

### 35-ე ტური: 8 მაისი
რეჯინა : ბოლონია
კიევო : ფიორენტინა
ბრეშა : ინტერი
მილანი : იუვენტუსი
სამპდორია : ლეჩე
ატალანტა : მესინა
კალიარი : პალერმო
პარმა : რომა
ლივორნო : სიენა
ლაციო : უდინეზე

### 36-ე ტური: 15 მაისი
ფიორენტინა : ატალანტა
ბოლონია : ბრეშა
მესინა : კალიარი
სიენა : კიევო
რომა : ლაციო
ინტერი : ლივორნო
ლეჩე : მილანი
იუვენტუსი : პარმა
პალერმო : რეჯინა
უდინეზე : სამპდორია

### 37-ე ტური: 22 მაისი
კიევო : ბოლონია
ლაციო : ფიორენტინა
სამპდორია : ინტერი
ლივორნო : იუვენტუსი
რეჯინა : ლეჩე
ბრეშა : მესინა
მილანი : პალერმო
ატალანტა : რომა
პარმა : სიენა
კალიარი : უდინეზე

### 38-ე ტური: 29 მაისი
სიენა : ატალანტა
ფიორენტინა : ბრეშა
იუვენტუსი : კალიარი
რომა : კიევო
პალერმო : ლაციო
მესინა : ლივორნო
უდინეზე : მილანი
ლეჩე : პარმა
ინტერი : რეჯინა
ბოლონია : სამპდორია

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

### სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა. I ტური** | | | | | | |
| | | **14 აგვისტო** | | | | | | |
| 15.45 | 001 | ტოტენჰემი-ლივერპული | 2,9 | 3,2 | 2,3 | 1,52 | 1,28 | 1,33 |
| 18.00 | 002 | ბლექბერნი-ვესტ ბრომვიჩი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
